KA030179680075519

№ 01-1799 **22 / თებერვალი / 2019 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრს ბატონ დავით სერგეენკოს

ანალიტიკის, ადამიანური რესურსების მართვისა და
საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის
უფროსის,პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელის სოფიკო ბელქანიას

მოხსენებითი ბარათი

ბატონო დავით,

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 27 თებერვლიდან 1 მარტის ჩათვლით, რუმინეთში, ქ. ბუქარესტში დაგეგმილია ევროკომისიის მიერ აღმოსავლეთი პარტნიორობის ფარგლებში შეხვედრა, რომელზეც, როგორც დელეგატი და ელექტრონული ჯანდაცვის კოორდინატორი საქართველოდან მიწვეულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი მიხეილ ჯანიაშვილი.
დელეგაციას საქართველოდან ხელმძღვანელობს საქართველოს ეკონომიკის მინისტრი. აღნიშნულ მინისტერიალზე განიხილება დეკლარაცია, რომელიც თან ერთვის წარმოდგენილ დოკუმენტებს.
ამასთან, გაცნობებთ, რომ ვიზიტთან დაკავშირებულ ხარჯებს (მგზავრობა, სასტუმრო და დღიური ხარჯები) ანაზღაურებს მომწვევი მხარე.
თქვენი თანხმობის შემთხვევაში, უზრუნველვყოფთ შესაბამისი მივლინების ბრძანების გაფორმებას ბატონი მიხეილ ჯანიაშვილისთვის მიმდინარე წლის 27 თებერვლიდან 1 მარტის ჩათვლით.

პატივისცემით,

ანალიტიკის, ადამიანური რესურსების
მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სოფიკო ბელქანია